განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში - „ეროვნული ბანკი“), საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარებით, ახორციელებს ფინანსური სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვას სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს ფინანსური სფეროს განვითარების ხელშეწყობას.

გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2023 წელს შეიმუშავა ტექნიკური დახმარების ანგარიში, რომელში ასახული ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომ შეზღუდულიყო ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილება, სარეზერვო ფონდში არსებული თანხების განაწილების შესახებ.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება ასევე შეეხება ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის ზედამხედველობის ნაწილში და ის სრულად მოექცევა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ, რაც გულისხმობს მათ შორის პრუდენციულ ზედამხედველობას.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, 2022 წლის 9 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე ეროვნული ბანკი, 2023 წლიდან აქტიურად ახორციელებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციას. დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია 27 ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი და კიდევ რამდენიმე სუბიექტის მიმართ მიმდინარეობს სარეგისტრაციო წარმოება.

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერზე ეროვნული ბანკის ზედამხედველობა დღეის მდგომარეობით შემოიფარგლება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის რეგისტრაციითა და რეგისტრაციის გაუქმებით, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით შემოწმებითა და რეგულირებით, ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანმხლები ინფორმაციის განსაზღვრით.

ვირტუალური აქტივის მომსახურების სფერო მთელ მსოფლიოში მზარდია და სწრაფად ვითარდება, მათ შორის, იზრდება ამ მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობა, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ბანკი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების მიმართ თავის საზედამხედველო უფლებამოსილებას სრულად ახორციელებდეს, როგორც პრუდენციული ზედამხედველობის, ასევე მომხმარებლების უფლებების დაცვის, კიბერუსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების ნაწილში. შესაბამისად, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობის მომწესრიგებელი ორგანული კანონის 52^5 მუხლი ჩამოყალიბდება ახლებურად, მსგავსად ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების მარეგულირებელი ნორმებისა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ვინაიდან კანონპროექტის მიზანია ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების დახვეწა, აუცილებელია ცვლილება განხორციელდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (შემდგომში - „ორგანული კანონი“) საქართველოს ორგანულ კანონში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგია, ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების დაზუსტება და დახვეწა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად :

- ცვლილებები ხორციელდება ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ჰ[13]“ ქვეპუნქტში, რომელშიც ზუსტდება ვირტუალური აქტივის მომსახურების განმარტება და ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება ნორმატიული აქტით განსაზღვროს მომსახურების სახეები, რომელიც ასევე ჩაითვლება ვირტუალური აქტივის მომსახურებად. ამ ცვლილების საჭიროება გამომდინარეობს თანამედროვე რეალობიდან, სადაც სწრაფად იქმნება ახალი ფინანსური სერვისები და პროდუქტები, რის გამოც შეუძლებელია კანონში გათვალისწინებული იყოს მომსახურებათა სრული ჩამონათვალი. ასევე ცვლილება შედის ორგანული კანონის 52[5] მუხლში, რომელიც ქმნის ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერზე ზედამხედველობის საფუძვლებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლით გაფართოვდა ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება, რომელიც მოიცავს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისგან ნებისმიერ ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების უფლებას როგორც

ადგილზე, ასევე დისტანციური შემოწმების ფარგლებში, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობის წესის და შესასრულებელი მოთხოვნების განსაზღვრის უფლებას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის და მისი გაანგარიშების წესის დადგენას, კაპიტალის და აქტივების მიმართ მოთხოვნების, რისკების მართვის სტანდარტების, რისკების ჩარჩოს შესახებ და სხვა დამატებითი მოთხოვნების დადგენის უფლებამოსილებას. დამატებით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერზე გავრცელების მიზნით, ცვლილებები ხორციელდება ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-12 პუნქტში და 64[1] მუხლს ემატება 1[1] პუნქტი, რომლითაც ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისთვის დაადგინოს მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული წეს(ებ)ი.

- ამოღებულ იქნება ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილებას საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის, ასევე ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მიიღოს გადაწყვეტილება სარეზერვო ფონდში არსებული თანხების განაწილების შესახებ;
- ორგანული კანონის 32-ე მუხლში განსახორციელებელი ცვლილებით, მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილე რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, უფლებამოსილნი იქნება ეროვნულ ბანკში გახსნას ანგარიში;
- ორგანული კანონის 49-ე მუხლში განსახორციელებელი ცვლილებებით, ზუსტდება რომ შაბათი ან/და კვირა დღე შეიძლება გამოცხადდეს საბანკო დღედ.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

წარმოდგენილ კანონპროექტზე არ ვრცელდება აღნიშნული ჩანაწერი.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

გამომდინარე იქედან რომ კანონის ამოქმედება დამატებით პირობას ან/და დროს არ საჭიროებს, მიზანშეწონილია, რომ კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

მოთხოვნილი არ არის კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს აუცილებელი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს გავლენა არ ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს გავლენა არ ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ გამოიწვევს სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ვინაიდან კანონპროექტით ეროვნულ ბანკს ეძლევა უფლებამოსილება სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა და გაანგარიშების წესი, აგრეთვე კრიტერიუმები და მოთხოვნები კაპიტალის და აქტივების (მათ შორის, ვირტუალური აქტივების) მიმართ, კანონპროექტმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებზე ან იმ იურიდიულ პირებზე რომლებიც გამოთქვამენ სურვილს განახორციელონ ვირტუალური აქტივის მომსახურების საქმიანობა. გავლენის ზომა დამოკიდებულია მინიმალური კაპიტალის განსაზღვრების წესსა და ოდენობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიჟინაძე, ირაკლი ხელაძე, რამინა ბერაძე, ბეჟან წაქაძე, ლევან მაჭავარიანი, ილია ინჯია, დავით კოდუა, გიორგი ბარვენაშვილი, თორნიკე ფაღავა, იოსებ ჯორბენაძე, აკაკი ალადაშვილი, მარიამ ლაშხი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიჟინაძე, ირაკლი ხელაძე, რამინა ბერაძე, ბეჟან წაქაძე, ლევან მაჭავარიანი, ილია ინჯია, დავით კოდუა, გიორგი ბარვენაშვილი, თორნიკე ფაღავა, იოსებ ჯორბენაძე, აკაკი ალადაშვილი, მარიამ ლაშხი.